F-PD-04E-01

# ხელშეკრულება პოლიგრაფიული მასალის დამზადების შესახებ № 37 37

**თბილისი** 2017 წლის 4 მაისი

ერთი მხრივ, **ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი – თბილისის თანამედროვე ბალეტი“, მისი ხელმძღვანელის მარიამ ალექსიძის სახით** (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორე მხრივ, **შპს „სეზანი“** (შემდგომში „შემსრულებელი“), **მისი დირექტორის, ტარიელ შავერდაშვილის სახით,** ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი დაამზადებს 100 ცალ პოსტერს, 300 ცალ ბროშურასა და 900 ცალ მოსაწვევს (შემდგომში „საქონელს“), საბოლოოდ დამკვეთის მიერ შეთანხმებული დიზაინის მიხედვით. საქონლის ტექნიკური პარამეტრები და ფასები იხილეთ დანართში №1.

1.2 დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის საფასურს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

## 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 <u>შემსრულებელი ვალდებულია:</u>

2.1.1 დაამზადოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

2.1.2 საკუთარი სახსრებით შეიძინოს საქონლის დამზადებისთვის საჭირო მასალა, უზრუნველყოს ამისთვის საჭირო ხელშეკრულებ(ებ)ის დადება და ანგარიშსწორება;

2.1.3 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზები და აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი.

2.1.4 შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი შესასრულებელი სამუშაოს ტექსტის სიზუსტესა და მასში გამოყენებულ მასალაზე. მთელი პასუხისმგებლობა ამ მხრივ ეკისრება დამკვეთს. შემსრულებელი ვალდებულია, ბეჭდვაში პროდუქცია ჩაუშვას მხოლოდ ამ ხელშეკრულების ორმხრივად ხელმოწერისა და შესასრულებელი სამუშაოს სრულ მაკეტზე ელექტრონული დასტურის შემდეგ.

2.2 <u>დამკვეთი ვალდებულია:</u>

2.2.1 გადაიხადოს საფასური ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.3 <u>ორივე მხარე თანაბრად არის ვალდებული:</u>

2.3.1 დაიცვას იმ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საქმიანი ურთიერთობისას და რომელიც, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს საბანკო ან კომერციულ საიდუმლოებას. მხარეთა ეს ვალდებულება ძალაშია ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

## 3. საფასური, ანგარიშსწორება, ვადები

3.1 საქონლის დამზადებისა და მისთვის გადაცემის სანაცვლოდ დამკვეთი შემსრულებელს საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით გადაუხდის საფასურს დღგ-ს ჩათვლით 3035 <u>**(სამიათას ოცდათხუთმეტი) ლარის**</u> ოდენობით. საფასურის გადახდა მოხდება შემდეგი წესით:

3.1.1 საფასურის 100%-ს (3035 ლარი) დამკვეთი გადაიხდის საქონლის ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღეში შესაბამისი ინვოისის, სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.1.2 შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის საქონლის ჩაბარება მოხდება დამკვეთის მიერ მოწოდებული ელექტრონული მაკეტის დამტკიცებიდან 10 კალენდარულ დღეში.

3.1.3 დამკვეთი თავისუფლდება 3.1 პუნქტში მოცემული საფასურის გადახდისაგან თუ მისთვის მიწოდებული საქონელი იქნება უხარისხო ან/და უფლებრივად და ნივთობრივად რაიმე ნაკლის მქონე.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა 2.1.3. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებისა, შემსრულებელი ვალდებული იქნება გადაუხადოს დამკვეთს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში დასახელებული თანხის 0,5%-ის ოდენობით თითოეული ვალდებულების შესრულების ვადისთვის გადაცილებული ყოველი დღისთვის.

4.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 5. სხვა პირობები

5.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს მხარეთა ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

5.2 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა ან მოქმედების შეწყვეტა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

5.3 დამკვეთს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე შემსრულებლისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით.

5.4 წერილობითი შეტყობინება და საფოსტო გზავნილი ადრესატს უნდა გადაეცეს დაზღვეული ფოსტის ან კურიერის მეშვეობით გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე.

5.5 ამ ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება.

5.6 ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილია შემსრულებლის მიერ მითითებული მისამართი.

5.7 მხარეთა შორის წამოჭრილ დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

5.8 ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება დამკვეთს, ხოლო ერთი გადაეცემა შემსრულებელს.

**ინფორმაცია მხარეთა შესახებ:**

„დამკვეთი“
**ააიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი – თბილისის თანამედროვე ბალეტი“**
*თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №103*
*ს/კ 402030315*

„შემსრულებელი“
**შპს „სეზანი“**

*თბილისი, ვირსალაძის ქ.№8;*
*საიდენტ. ნომერი: 203862551*
*ბანკი: სს თიბისი ბანკი*
*ბანკის კოდი: TBCBGE22*
*ა/ა: GE41TB0600000101467640*

**დასის ხელმძღვანელი**
**მარიამ ალექსიძე**

**დირექტორი**
**ტარიელ შავერდაშვილი**

F-PD-04E-01

დანართი №1

# საქონლის ტექნიკური პარამეტრები და ფასები

| № | პროდუქციის დასახელება | ტექნიკური მახასიათებლები | რაოდენობა | ერთეულის ღირ-ბა | საერთო ფასი/ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პოსტერი „გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო“ | ფორმატი B1<br>ქაღალდი 170 გრ<br>ცარცირებული<br>ბეჭდვა 4/0 | 100 | 4.5 | 450.00 |
| 2 | ბროშურა „გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო“ | ფორმატი 16.5სმ X22სმ<br>72 გვერდი + ყდა;<br>შიგთავსის ქაღალდი 130 გრ არქტიკ მატი;<br>ყდის ქაღალდი 250 გრ ცარცირებული;<br>ბეჭდვა 4/4 + დისპერსიული ლაქი 1/1; + ყდაზე სპარკლის ლამინაცია 1/0; აკინძვა თერმულად, შიგთავსის შეკერვით. | 300 | 7.567 | 2270 |
| 3 | მოსაწვევი | ფორმატი 10სმ X20სმ<br>ქაღალდი 250 გრ<br>ცარცირებული;<br>ბეჭდვა 4/4 + დისპერსიული ლაქი 0/1; + სპარკლის ლამინაცია 1/0 | 900 | 0.35 | 315 |
| | | **სულ გადასახდელი/ლარი** | | | 3035 |

დასის ხელმძღვანელი
მარიამ ალექსიძე

დირექტორი
ტარიელ შავრდაშვილი